

აირტურბინული კომპინირებული ციკლის ოპტიმიზაციის ამოცანები

**ტექ. მეცნდ ოქტორი, პროფესორი თემურ მიქიაშვილი
დოქტორანტი ნინო ჩაღმელაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მიღებულია 14.12.2020

ანოტაცია. ენერგეტიკული ინდუსტრიის განვითარების მიმდინარე ეტაპზე აირტურბინული კომბინირებული ციკლის დანადგარებისთვის მთავარი გამოწვევა მანევრულობის გაუმჯობესებაა, რაც მოიხოვს მათი თერმოდინამიკური პარამეტრების, ტექნოლოგიური სქემების, მართვისა და რეგულირების სისტემების ოპტიმიზაციას მუშაობის რეჟიმების მოთხოვნების შესაბამისად. ოპტიმიზაციის ამოცანა ემყარება დანადგარების ეფექტიანობის მრავალმხრივ ანალიზს სხვადასხვა ფაქტორზე დამოკიდებულებით.

ნაშრომი ეძღვნება აირტურბინული კომბინირებული ციკლის თერმოდინამიკურ ანალიზს და პარამეტრების ოპტიმიზაციას. მასში ფორმულირებულია ციკლის თერმული მქონეფიციენტი ერთ- და სამწევიანი ორთქლის კონტურის გამოყენებისას, ასევე დამატებითი სათბობის წყის და მის გარეშე შემთხვევებისთვის; გაანალიზებულია მქონეფიციენტის ცვლილება აირისა და ორთქლის ციკლების, ასევე ქვაბ-უტილიზაციის მქონეფიციენტებისა და თერმოდინამიკური პარამეტრების ცვლილებებზე დამოკიდებულებით; განსაზღვრულია ციკლის ეფექტიანობაზე მოქმედი მთავარი ფაქტორები; ფორმულირებულია ოპტიმიზაციის ამოცანა, რომლის გადაწყვეტილაც დგინდება კომბინირებული ციკლის თერმული მქონეფიციენტის ცვლილების ხასიათი - ის მქენერად იზრდება აირტურბინული ციკლის საწყისი პარამეტრებისა და ნაკლებად ორთქლტურბინული ციკლის საწყისი პარამეტრების გაზრდის დროს. გადახურებული ორთქლის წნევის ზრდა არ იწვევს კომბინირებული ციკლის მქონეფიციენტის მნიშვნელოვან ზრდას. მას აქვს ექსტრემული წერტილი, საიდანაც საწყისი წნევის ზრდა ამცირებს ციკლის მქონეფიციენტს.

რეალური ციკლის დანადგარების ოპტიმიზაციისთვის გასათვალისწინებულია ორთქლის ქვაბ-უტილიზაციის კონტურებული მახასიათებლები, ასევე ნამუშევარი ორთქლის ტენიანობის ცვლილება საწყისი პარამეტრების მიხედვით და სხვ. ამ დროს მქონეფიციენტების მაქსიმალური მნიშვნელობები მიიღია და იდეალური ციკლებისგან განსხვავებულ საწყის პარამეტრებზე, მართვისა და დაგეგმვარების ოპტიმიზაცია კი ხორციელდება სიმძლავრეებისა და მუშაობის რეჟიმების კონტურებული პირობებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ელექტროსისტემა, ციკლი, კომბინირებული, ოპტიმიზაცია, ექსტრემული, აირტურბინა, ენერგობლოკი.

შესაგალი

აირტურბინული კომბინირებული ციკლის ენერგობლოკები მაღალეკონომიკური დანადგარებია, რომლებსაც საბაზისო სიმძლავრის გენერაციისთვის იყენებენ. ისინი ფართოდ ვრცელდება აღმოსავლეთ ეკროპასა და პოსტსაბჭოურ ქვეექნებში, სადაც 90-იანი წლების ბოლომდე შესაძლებელი იყო ელექტროსისტემების სინქრონული მუშაობა და დეფიციტის დაფარვა მათ შეირის ელექტროენერგიის გადანაწილების გზით - სისტემებში არსებობდა სათანადო ტექნიკური შესაძლებლობები. ცნობილი გეოპოლიტიკური ცვლილებების შედეგად 90-იანი წლების ბოლოს ელექტროენერგეტიკული სისტემები განმხოლოვდა და გარდაიქმნა ავტონომიურ ერთეულებად. ამასთან, მათი ერთმანეთთან დაკავშირების ტექნიკური შესაძლებლობები შემცირდა, რამაც სერიოზული სირთულეები გამოიწვია, განსაკუთრებით მცირე ზომის ელექტროსისტემებში - გართულდა დეფიციტის მართვა, შემცირდა მანევრულობა და მდგრადობა. შესაბამისად აქტუალური გახდა

დადგმული სიმძლავრეების, მდგრადობისა და მოქნილობის გაზრდა, რაც უნდა გადაწყვდეს მაღალი მახვილობისა და ეკონომიურობის ენერგობლოკების გამოყენების გზით. ასეთ პირობებში აირტურბინული კომბინირებული ციკლის (კც) ენერგობლოკებისთვის მთავარი გამოწვევაა მანევრულობის გაუმჯობესება, რაც გაზრდის მათ მონაწილეობას ელექტროსისტემების დატვირთვის საღადეღამისო რეგულირებაში. ეს ამოცანა მოითხოვს ენერგობლოკების თერმოდინამიკური პარამეტრების, ტექნოლოგიური სქემების, მართვისა და რეგულირების სისტემების ოპტიმიზაციას მუშაობის რეჟიმების მოთხოვნების შესაბამისად.

სტატიის ავტორთა მიზანია აირი-ორთქლის იდეალური კომბინირებული ციკლის მქ კოეფიციენტის თერმოდინამიკურ პარამეტრებზე დამოკიდებულების გამოკვლევა და ამ ციკლის დანადგარების (ენერგობლოკების) მუშაობის რეჟიმების შეზღუდვებისა და ოპტიმიზაციის ამოცანების განსაზღვრა.

კვლევა ჩატარებულია კომბინირებული ციკლის GE206FA სტანდარტული დანადგარის სქემისა და პარამეტრების მაგალითზე.

იდეალური კომბინირებული ციკლის თერმული მქ კოეფიციენტი

ანალიზი დავიწყოთ იდეალური კომბინირებული ციკლის თერმული მქ კოეფიციენტის ფორმულირებით. სიმარტივისთვის განვიხილოთ ერთწევიანი ზედნაშენი ციკლი - ციკლი, რომელშიც აირტურბინებში ნამუშევარი აირების სითბური სიმძლავრე საკმარისია ორთქლტურბინული კონტურის მუშაობისთვის და დამატებითი სათბობის წვდომის ქვაბუტილიზატორში საჭირო არ არის (აირი-ორთქლის კომბინირებული ციკლი). ციკლის **Ts** დიაგრამა ნაჩვენებია ნახ. 1-ზე, სადაც გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები: Q_{1G} და Q_{2G} - აირტურბინულ ციკლში მიწოდებული და არინებული სითბო; Q'_{1S} და Q''_{1S} - ორთქლტურბინულ ციკლში მიწოდებული და არინებული სითბო.

ჩავწეროთ აირტურბინული, ორთქლტურბინული და კომბინირებული ციკლების თერმული მქ კოეფიციენტები შემდეგნაირად:

აირტურბინული ციკლი

$$\eta_G = (Q_{1G} - Q_{2G}) / Q_{1G}; \quad (1)$$

ორთქლტურბინული ციკლი


$$\eta_S = (Q'_{1S} - Q''_{1S}) / Q'_{1S}; \quad (2)$$

კომბინირებული ციკლი

$$\eta_C = (Q_{1G} - Q_{2G} + Q'_{1S} - Q''_{1S}) / Q_{1G}. \quad (3)$$


შემოვიტანოთ ორთქლის ქვაბუტილიზატორის მქ კოეფიციენტი:

$$\eta_{SG} = Q'_{1S} / Q_{2G}. \quad (4)$$



ნახ. 1. ერთწევიანი იდეალური

კომბინირებული ციკლი (ერთკონტრიანი ციკლი დამატებითი სათბობის წვის გარეშე)



ნახ. 2. სამწევიანი იდეალური

კომბინირებული ციკლი (სამკონტრიანი ციკლი დამატებითი სათბობის წვის გარეშე)

გარდაქმნების შედეგად მივიღებთ თერმული მქ კოეფიციენტის ფორმულას ერთწევიანი იდეალური კომბინირებული ციკლისთვის დამატებითი სათბობის წვის გარეშე:

$$\eta_c = \eta_{sc} + \eta_{sc}(\eta_s - \eta_{sc}\eta_s). \quad (5)$$

დამატებითი სათბობის წვის შემთხვევისთვის ფორმულა მიიღებს სახეს:

$$\eta_c^* = \frac{1}{1+\alpha} \eta_c + \frac{\alpha}{1+\alpha} \eta_{sc}\eta_s, \quad (6)$$

სადაც $\alpha = Q^*/Q_{1G}$ არის დამატებითი სათბობის წვით მიღებული Q^* სითბოს შეფარდება აირტურბინულ ციკლში მიწოდებულ Q_{1G} სითბოსთან.

ქვემოთ მოყვანილია თერმული მქ კოეფიციენტის ფორმულა სამწევიანი იდეალური კომბინირებული ციკლისთვის დამატებითი სათბობის წვის გარეშე (ნახ.2), რომელიც გვიჩვენებს ფორმულის სტრუქტურის დამოკიდებულებას ორთქლის ციკლში წნევის კონტურების რაოდენობაზე:

$$\eta_{c3} = \eta_c + \frac{1}{A_1} \eta'_{sc}(\eta'_s - \eta_{sc}\eta'_s) + \frac{1}{A_2} \eta''_{sc}(\eta''_s - \eta_{sc}\eta''_s) + \frac{1}{A_3} \eta'''_{sc}(\eta'''_s - \eta_{sc}\eta'''_s), \quad (7)$$

სადაც A_1 , A_2 და A_3 არის თანაფარდობათა კომბინაციები შესაბამისად წნევის პირველი, მეორე და მესამე კონტურებისთვის, რომლებიც იანგარიშება შემდეგნაირად:

$$A_1 = (\alpha_{12}\alpha_{13} + \alpha_{13} + \alpha_{12})/\alpha_{12}/\alpha_{13}; \quad A_2 = (\alpha_{12}\alpha_{23} + \alpha_{23} + 1)/\alpha_{23}; \quad A_3 = \alpha_{13} + \alpha_{23} + 1.$$

აქ $\alpha_{12} = Q'_{1G}/Q_{1G}$; $\alpha_{13} = Q''_{1G}/Q_{1G}$; $\alpha_{23} = Q'''_{1G}/Q_{1G}$ არის თანაფარდობათა კოეფიციენტები, რომლებიც გვიჩვენებს აირტურბინულ ციკლში მიწოდებული Q_{1G} სითბოს განაწილებას ორთქლის კონტურების სიმძლავრების პირდაპირპორციულად - $Q_{1G} = Q'_{1G} + Q''_{1G} + Q'''_{1G}$; η'_{sc} , η''_{sc} , η'''_{sc} , η'_s , η''_s , η'''_s არის შესაბამისად ორთქლის ქვაბული და მესამე (მაღალი, საშუალო და დაბალი წნევის) კონტურის მქ კოეფიციენტები.

თერმული მქ კოეფიციენტის ექსტრემული და ოპტიმიზაციის ამოცანა

ქვემოთ განვიხილავთ იდეალური კომბინირებული ციკლის თერმული მქ კოეფიციენტის დამოკიდებულებას შემადგენელი ციკლებისა და ორთქლის ქვაბული ზატორის მქ კოეფიციენტებზე. სიმარტივისთვის ვირჩევთ ერთწევიან ციკლს დამატებითი სათბობის წვის გარეშე (ნახ. 1). ამ დროს მიღებული შედეგები გავრცელდება ორ-და სამწევიან ციკლებზე.

დასაწყისში დავუშვათ, რომ (5)-ში შემავალი η_c , η_{sc} , η_s მქ კოეფიციენტები ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ცვლადებია. მაშინ კომბინირებული ციკლის მქ კოეფიციენტი არაცხადი სახით ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\eta_c = \eta_c(\eta_{sc}, \eta_{sc}\eta_s, \eta_s), \quad (8)$$

საიდანაც

$$d\eta_c = \frac{\partial \eta_c}{\partial \eta_{sc}} d\eta_{sc} + \frac{\partial \eta_c}{\partial \eta_{sc}\eta_s} d\eta_{sc}\eta_s + \frac{\partial \eta_c}{\partial \eta_s} d\eta_s. \quad (9)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ (5)-ის საფუძველზე $\partial\eta_c / \partial\eta_{sc} = 1 - \eta_{sc}\eta_s$, $\partial\eta_c / \partial\eta_{sc} = \eta_s(1 - \eta_c)$ და $\partial\eta_c / \partial\eta_s = \eta_{sc}(1 - \eta_c)$, (9)-დან მივიღებთ:

$$d\eta_c = (1 - \eta_{sc}\eta_s)d\eta_{sc} + \eta_s(1 - \eta_c)d\eta_{sc} + \eta_{sc}(1 - \eta_c)d\eta_s. \quad (10)$$

განვიხილოთ მთავარი პარამეტრები, რომლებიც გავლენას ახდენს η_c , η_s და η_{sc} მნიშვნელობებზე. აირტურბინებისთვის ასეთია გარემოს წნევა p_a და ტემპერატურა T_a , აირების საწყისი წნევა p_1 და ტემპერატურა T_1 (აირტურბინის პირველ საფეხურში შესვლისას); ორთქლის ტურბინისთვის: საწყისი წნევა p_0 , ტემპერატურა T_0 , და წნევა კონდენსატორში p_c ; ორთქლის ქვაბული ზატორისთვის: საწყისი წნევა p_0 , ორთქლმწარმოებლურობა D_0 და ტემპერატურული გრადიენტი ნამუშევარი აირების (T_2) და საწყის (T_0) ტემპერატურებს შორის. ანალიზის დროს გარემო ფაქტორებზე დამოკიდებულ პარამეტრებს (p_a , T_a , p_c) არ გავითვალისწინებთ და მუდმივ სიდიდედ მივიღებთ ტემპერატურულ გრადიენტსაც. მაშინ ზოგადი სახით შეგვიძლია ჩავწეროთ:

$$\left. \begin{aligned} \eta_c &= \eta_c(p_1, T_1) \\ \eta_s &= \eta_s(p_0, T_0) \end{aligned} \right\} \quad (11)$$

$$\eta_{SG} = \eta_{SG}(p_0, D_0),$$

საიდანაც:

$$\left. \begin{aligned} d\eta_G &= \frac{\partial \eta_G}{\partial p_1} dp_1 + \frac{\partial \eta_G}{\partial T_1} dT_1 \\ d\eta_S &= \frac{\partial \eta_S}{\partial p_0} dp_0 + \frac{\partial \eta_S}{\partial T_0} dT_0 \\ d\eta_{GS} &= \frac{\partial \eta_{GS}}{\partial p_0} dp_0 + \frac{\partial \eta_{GS}}{\partial D_0} dD_0 \end{aligned} \right\} . \quad (12)$$


(12)-ის გათვალისწინებით (10)-დან მივიღებთ:

$$\begin{aligned} d\eta_G &= (1 - \eta_{SG}\eta_S) \frac{\partial \eta_G}{\partial p_1} dp_1 + (1 - \eta_{SG}\eta_S) \frac{\partial \eta_G}{\partial T_1} dT_1 + (1 - \eta_G) \left(\eta_S \frac{\partial \eta_{SG}}{\partial p_0} + \eta_{SG} \frac{\partial \eta_S}{\partial p_0} \right) dp_0 + \eta_S (1 - \eta_G) \frac{\partial \eta_{SG}}{\partial D_0} dD_0 + \eta_{SG} (1 - \eta_G) \frac{\partial \eta_S}{\partial T_0} dT_0 \end{aligned} \quad (13)$$


საიდანაც ჩანს, რომ კომპინირებული ციკლის ორმული მქ კოეფიციენტის ექსტრემუმის განსაზღვრისთვის საჭიროა აირტურბინული და ორთქლტურბინული ციკლის, ასევე ორთქლის ქვაბ-უტილიზატორის მქ კოეფიციენტების p_1 , T_1 , p_0 , D_0 , T_0 პარამეტრებზე დამოკიდებულებების ცოდნა. მეორე მხრივ, აირტურბინებში ნამუშევარი აირების ტემპერატურა, რომელიც საკუთრივ p_1 -სა და T_1 -ზეა დამოკიდებული, განსაზღვრავს p_0 -ისა და T_0 -ის მნიშვნელობებსა და შეზღუდვებს. შესაბამისად, η_G , η_{SG} და η_S ერთმანეთზე დამოკიდებული და ზემოთ დასახელებული პარამეტრებით შემცირდება (დახისტებული) სიდიდეებია (მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში ისინი დამოუკიდებელ ცვლადებად მოვისენიეთ).

ავტორთა მიერ ჩატარებული გაანგარიშებითი კვლევის შედეგები ნახვენებია ნახ. 3-5-ზე, საიდანაც ჩანს, რომ საწყისი პარამეტრების ცვლილების რეალისტურ ინტერვალში აირტურბინული ციკლისა და ორთქლის ქვაბ-უტილიზატორის მქ კოეფიციენტებს ექსტრემუმის წერტილები არ გააჩნიათ, ხოლო ორთქლტურბინული ციკლის მქ კოეფიციენტის ექსტრემუმი არსებობს და დამოკიდებულია საწყისი წნევის მნიშვნელობებზე. ეს ნიშნავს, რომ ექსტრემუმის კვლევა მე-(13) ფორმულისთვის უნდა განხორციელდეს მხოლოდ p_0 საწყისი წნევის მიხედვით. ამასთან ფორმულაში უნდა გამოვყოთ p_0 -ზე დამოკიდებული ის წევრი, რომელსაც აქვს ექსტრემუმი. ჩვენ შემთხვევაში ასეთია η_{SG}/η_{p_0} (ორთქლტურბინული ციკლის η_S მქ კოეფიციენტის დამოკიდებულება p_0 საწყის წნევაზე მუდმივი T_0 -ის პირობებში (ნახ. 5)). მაშინ მე-(13) გამარტივდება და მიიღებს სახეს:

$$d\eta_G(p_0) = (1 - \eta_G) \eta_{SG} \frac{\partial \eta_S}{\partial p_0} dp_0. \quad (14)$$




ნახ. 3. იდეალური აირტურბინული ციკლის ორმული მქ კოეფიციენტის დამოკიდებულება საწყის წნევასა და ტემპერატურაზე (გაანგარიშებები ჩატარებულია პირობებისთვის: გარემოს წნევა და ტემპერატურა - 1 ატმ, 15°C; საწყისი პარამეტრები - $p_1 = 14$ ბარი, $T_1 = 1213^\circ\text{C}$)



ნახ. 4. ორთქლის ქვაბ-უტილიზატორის მქ კოეფიციენტის დამოკიდებულება გადახურებული ორთქლის წნევასა და მწარმოებლურობაზე


დავუბრუნდეთ პარამეტრების ურთიერთგავლენას. როგორც აღვნიშნეთ, p_0 -ის და T_0 -ის მნიშვნელობებს და ცვლილებათა ინტერვალებს განსაზღვრავს აირტურბინული ციკლის საწყისი პარამეტრები (p_1 , T_1). ამიტომ მე-(14) ფორმულის ექსტრემულის კალკვაშესაძლებელია ჩატარდეს გარიანტულ გაანგარიშებათა გზით აირტურბინული ციკლის საწყისი წნევისა (p_1) და ტემპერატურის (T_1) ფიქსირებული მნიშვნელობებისთვის. ასეთი გაანგარიშების შედეგები ნაჩვენებია ნახ. 6 და 7-ზე.



ნახ. 5. იდეალური ორთქლტურბინული ციკლის თერმული მქ კოეფიციენტის დამოკიდებულება საწყის წნევასა და ტემპერატურაზე (გაანგარიშები ჩატარებულია ორთქლის ერთჯერადი გადახურებისა და კონდენსატორში ფიქსირებული წნევის პირობებისთვის)

ნამუშევარი აირების ტემპერატურაა 343°C , რომელზეც შეუძლებელია 102 ბარზე მეტი წნევის გადახურებული ორთქლის მიღება (წერტილი m), ხოლო თუ $p_1=25$ ბარს, მაშინ გადახურებული ორთქლის მიღება. მაგალითად, ნახ. 6, ბ-ზე ნაჩვენები გრაფიკების მიხედვით, როდესაც აირტურბინული ციკლის p_1 საწყისი წნევა 35 ბარია, მაშინ


მიუხედავად ასეთი შესაძლებლობებისა, გრაფიკებიდან ჩანს, რომ გადახურებული ორთქლის წნევის ზრდა არ იწვევს კომბინირებული ციკლის თერმული მქ კოეფიციენტის მნიშვნელოვან მატებას. მეტიც, გარკვეული მნიშვნელობიდან დაწყებული (წერტილი k და l) წნევის ზრდა ამცირებს კომბინირებული ციკლის თერმულ მქ კოეფიციენტს. ამიტომ თერმული ეფექტიანობის თვალსაზრისით კომბინირებულ ციკლში წამყვან როლს ინარჩუნებს აირტურბინული ციკლის საწყისი წნევა. ამ გარემოებას ითვალისწინებენ დანადგარების დაპროექტებისას ოპტიმალური პარამეტრების შერჩევისთვის.



ა) T_s - დიაგრამა საწყისი წნევების ცვლილებისას


როგორც ნახ. 6-დან ჩანს, აირტურბინული და ორთქლტურბინული ციკლების საწყის წნევათა გაზრდით კომბინირებული ციკლის თერმული მქ კოეფიციენტი უფრო მკვეთრად იზრდება აირტურბინული ციკლის საწყისი წნევის (p_1) გაზრდისას, ვიდრე ორთქლტურბინულის (p_0). მაგრამ აირტურბინული ციკლის საწყისი წნევის გაზრდით ნამუშევარი აირების ტემპერატურა (t_{2t}) მცირდება იმდენად, რომ შეუძლებელი ხდება ქვაბული ზარის გაზრდისას. გარკვეულ წნევაზე მეტი წნევის მქონე გადახურებული ორთქლის მიღება. მაგალითად, ნახ. 6, ბ-ზე ნაჩვენები გრაფიკების მიხედვით, როდესაც აირტურბინული ციკლის p_1 საწყისი წნევა 35 ბარია, მაშინ

ცენტრალური სამუშაო 35 ბარზე მეტი წნევის გადახურებული ტემპერატურა და მატება არ იწვევს კოეფიციენტის მნიშვნელოვან მატებას. მეტიც, გარკვეული მნიშვნელობიდან დაწყებული (წერტილი k და l) წნევის ზრდა ამცირებს კომბინირებული ციკლის თერმულ მქ კოეფიციენტს. ამიტომ თერმული ეფექტიანობის თვალსაზრისით კომბინირებულ ციკლში წამყვან როლს ინარჩუნებს აირტურბინული ციკლის საწყისი წნევა. ამ გარემოებას ითვალისწინებენ დანადგარების დაპროექტებისას ოპტიმალური პარამეტრების შერჩევისთვის.



ბ) თერმული მქ კოეფიციენტი

ნახ. 6. იდეალური კომბინირებული ციკლის თერმული მქ კოეფიციენტის დამოკიდებულება აირტურბინული და ორთქლტურბინული ციკლების საწყის წნევებზე: გრაფიკები აგებულია აირტურბინული ციკლის საწყისი ტემპერატურისთვის $t_1=1200^{\circ}\text{C}$



ა) **Ts** - დიაგრამა აირტურბინული ციკლის საწყისი ტემპერატურის ცვლილების

ბ) თერმული მქ კოეფიციენტი

ნახ. 7. იდეალური კომბინირებული ციკლის თერმული მქ კოეფიციენტის დამოკიდებულება აირტურბინული ციკლის საწყის ტემპერატურასა და ორთქლტურბინული ციკლის საწყის წნევაზე: გრაფიკები აგებულია აირტურბინული ციკლის საწყისი წნევისთვის **P1=15** ბარი

ნახ. 7-ზე მოცემული გრაფიკებიდან ჩანს, რომ აირტურბინული ციკლის საწყისი ტემპერატურის (**t₁**) გაზრდით კომბინირებული ციკლის თერმული მქ კოეფიციენტი იზრდება. ამ დროს, წინა შემთხვევის მსგავსად, დაბალ საწყის ტემპერატურაზე შეზღუდულია გადახურებული ორთქლის წნევის მნიშვნელობები. მაგალითად, როდესაც აირტურბინული ციკლის საწყისი ტემპერატურა **t₁=800°C**, მაშინ გადახურებული ორთქლის ზღვრული წნევაა 30 ბარი, ხოლო თუ **t₁=1000°C**, მაშინ ზღვრული წნევა 160 ბარია. აირის უფრო მაღალ ტემპერატურაზე (**t₁=1200°C/1400°C/1600°C**) ეს შეზღუდვები აღარ არსებობს. იმის გამო, რომ აირტურბინული ციკლის საწყისი ტემპერატურის ზრდა ერთმნიშვნელოვნად ზრდის კომბინირებული ციკლის თერმულ მქ კოეფიციენტს, ხოლო ორთქლტურბინული ციკლის საწყისი წნევის გადიდებით ის ჯერ იზრდება, შემდეგ კი მცირდება (**k₁** და **I₁** მაქსიმუმის წეტილები), აირის საწყისი ტემპერატურა წამყვანია კომბინირებული ციკლის თერმულ მქ კოეფიციენტზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

კომბინირებული ციკლის თერმული მქ კოეფიციენტის გაზრდის გზები

ზემოთ გაკეთებული ანალიზი აჩვენებს, რომ აირი-ორთქლის კომბინირებული ციკლის თერმული მქ კოეფიციენტის გაზრდა შესაძლებელია:

- აირტურბინული ციკლის საწყისი წნევისა და ტემპერატურის გაზრდით;
- ორთქლის ქაბ-უტილიზატორის ეფექტიანობის გაზრდით;
- ორთქლტურბინული ციკლის საწყისი წნევისა და ტემპერატურის გაზრდით.

ტექნოლოგიების განვითარების მიმდინარე ერაპზე ამ შესაძლებლობების სრულყოფილად რეალიზება შეუძლებელია ცნობილი ტექნიკური შეზღუდვების გამო. მაგალითად, აირტურბინული ციკლის საწყისი წნევის გაზრდა ართულებს ჰაერის კომპრესორის მუშაობის პირობებს, ზრდის რევერსიული ნაკადის წარმოქმნის შესაძლებლობას გარდამავალ რეჟიმებში და ამნელებს ღერძული ძალების გაწონას-წორებას, ამაღლებს მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე აირტურბინის გაშვების პროცესში და სხვ. საწყისი ტემპერატურის ზრდა კი იწვევს აირტურბინის პირველი საფეხურების გადახურებას, რაც ამცირებს მათი სიმტკიცის მაჩვენებლებსა და ხანგამდლებას. ამ პრობლემის გადაწყვეტა ურთულესი ამოცანაა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კვლევებსა და დანადგარების წარმოებაში.

დამატებითი სათბობის წვის გარეშე მომუშავე ორთქლის ქაბ-უტილიზატორი არის თბოგადამცემი დანადგარი, რომელშიც უნდა განხორციელდეს სითბოს ეფექტური არინება

აირტურბინაში ნამუშევარი დაბალტემპერატურული ($600\text{-}750^{\circ}\text{C}$) აირებისგან. ამის მიღწევა ისე, რომ საჭირო არ გახდეს გაუმართლებლად დიდი ფართობის თბოგადამცემი ზედაპირების გამოყენება, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სითბოს მიმღები მუშა სხეული თბოგადაცემის პროცესში განიცდის ფაზურ გარდაქმნას. ამასთან, რაც უფრო დაბალია წყლის წნევა, მით მეტია მისი აორთქლების ფარული სითბო და მეტია ნამუშევარი აირებისგან სითბოს არინების შესაძლებლობა. მაგრამ დადებითად დაბალ წნევას უარყოფითი მხარეც აქვს - ამ დროს მიღებული დაბალი წნევის ორთქლი არ არის ოპტიმალური ორთქლის ტურბინაში მუშაობის შესრულებისთვის. ამიტომ ირჩევენ შეალებურ ვარიანტს: ორთქლის ქვაბ-უტილიზატორს ორი ან სამი მკვებავი ტუმბოთი აწოდებან მკვებავ წყალს ორი ან სამი განსხვავებული წნევითა და რაოდენობით. ეს ნაკადები ორთქლდება სხვადასხვა ტემპერატურაზე და თავს იყრის განსხვავებული წნევის დოლებში. დოლებიდან გადამსურებლის გავლით ორთქლი გადადის ორთქლის ტურბინის შესაბამის ნაკვეთურებში. ასეთი დაყოფის მიხედვით ორთქლის ქვაბ-უტილიზატორი შეიძლება იყოს ორდოლიანი (ორწნევიანი) ან სამდოლიანი (სამწნევიანი).

თბოგადაცემასთან დაკავშირებული პრობლემების გამო კომბინირებულ ციკლში ამ ეტაპზე არ იყენებენ ზეკრიტიკული პარამეტრების ორთქლს, რომელიც მოითხოვს მნიშვნელოვან გადახურებას ორთქლის ტურბინის ბოლო საფეხურებში ტენინაობის შემცირების მიზნით. ეს ძნელი მისაღწევია ზომიერი გაბარიტების ქვაბ-უტილიზატორებში. ზეკრიტიკული პარამეტრები ასევე ამკაცრებს წყალქიმიურ რეჟიმებს და იწვევს არასასურველ გადრამავალ პროცესებს ქვაბ-უტილიზატორების წყლისა და ორთქლის ტრაქტში.

კომბინირებული ციკლი რეალური დანადგარების ოპტიმიზაციისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს ორთქლის ქვაბ-უტილიზატორის კონკრეტული მახასიათებლები, ასევე ნამუშევარი ორთქლის ტენინაობის ცვლილება საწყისი პარამეტრების მიხედვით. ამ დროს მაქსიმალური მქ კოეფიციენტები მიღია იდეალური ციკლებისგან განსხვავებულ საწყის პარამეტრებზე. შესაბამისად, მართვის და დაგეგმარების ოპტიმიზაცია უნდა განხორციელდეს სიმძლავრეებისა და მუშაობის რეჟიმების კონკრეტული მოთხოვნებისთვის. სტანდარტული კომბინირებული ციკლის დანადგარების ზომიერ პარამეტრებად ამჟამად მიჩნეულია აირებისა და ორთქლის საწყისი წნევები და ტემპერატურები: $P_1=15\text{-}20$ ბარი, $p_0=70\text{-}110$ ბარი, $t_1=1200\text{-}1400^{\circ}\text{C}$, $t_0=550\text{-}590^{\circ}\text{C}$.

დასკვნა

ავტორების მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ აირტურბინული კომბინირებული ციკლის თერმული ეფექტიანობის გაზრდისთვის მთავარ მიმართულებად აირის ციკლის საწყისი პარამეტრების გაზრდა უნდა განვიხილოთ. მაგრამ საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ აირების საწყისი წნევის ზრდა ამცირებს ნამუშევარი აირების ტემპერატურას და ზღუდავს ორთქლის ციკლის საწყისი წნევის ზრდას, აირების წნევის შემცირება კი, პირიქით, ზრდის ნამუშევარი აირების ტემპერატურას და აფართოებს ორთქლის საწყისი წნევის შერჩევის დიაპაზონს. რაც შეეხება აირების საწყის ტემპერატურას, მისი გაზრდით კომბინირებული ციკლის თერმული მქ კოეფიციენტი განუხრელად იზრდება. მიუხედავად აღნიშნულთან დაკავშირებული ოპტიმისტური შედეგებისა, რეალური დანადგარების ოპტიმიზაციისთვის უნდა გავითვალისწინოთ აირტურბინებისა და ორთქლის ქვაბ-უტილიზატორების ლითონის მხურვალმტკიცობის შეზღუდვები, ასევე ტენინაობის გავლენა ორთქლის ტურბინის ბოლო საფეხურების სიმტკიცეზე.

კომბინირებული ციკლის არსებული დანადგარების მანევრულობის გაზრდისთვის ოპტიმიზაციის მთავარი ამოცანა მუშაობის რეჟიმების მიხედვით ადაპტირებული მართვის და რეგულირების ალგორითმების შემუშავებაა, ახალი დანადგარებისთვის კი ოპტიმიზაცია პარამეტრების სრულ სპექტრს უნდა მოიცავდეს და ემყარებოდეს კონკრეტული ენერგობლოგების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს მუშაობის საპროგნოზო პირობებისთვის.